თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რაღ გვინდა ტაში!“

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ბედნიერი და ბარაქიანი ყოფილიყოს თქვენთვის 2018 წელი!

№18 (780) 28 დეკემბერი, 2017 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი

2017 – ვიზალიბერალიზაციის, არჩევნების, პოლიტიკური სკანდალების და ხანძრების წელი

მიიწურა კიდევ ერთი, პოლიტიკური მოვლენებით დახუნძლული წელიწადი, ამ წლის განმავლობაში ქვეყანაში და მსოფლიოშიც მრავალი უმნიშვნელოვანესი თუ ნაკლებ მნიშვნელოვანი რამ მოხდა: დავიწყეთ უვიზო მიმოსვლა ევროპასთან, ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, მრავლად იყო გახმაურებული საქმეები - ე.წ. ციანიდის საქმე, სპეცოპერაცია და დახოცილი ტერორისტები... თუმცა, 2017 წელი მაინც ორიგინალურად - საქართველოს პრემიერ-მინისტრის გინებით დასრულდა.

წლის ყველაზე მთავარი პოლიტიკური მოვლენა ალბათ ვიზალიბერალიზაცია და ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის დაწყება გახლდათ. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2017 წლის 28 მარტიდან დეკემბრამდე, შენგენის ზონაში დაახლოებით 170 ათასი გამგზავრების ფაქტი დაფიქსირდა, საიდანაც 494 (ანუ 0.3:) საზღვარზე არ შეუშვეს. პრაქტიკულად, საქართველოს მოქალაქეებმა დაუბრკოლებლად შეძლეს ევროკავშირში უვიზოდ მიმოსვლით სარგებლობა და მომავალში ეს რიცხვი ალბათ კიდევ უფრო გაიზრდება. ასე რომ, თუ დღეს საბჭოთა საქართველოში მცხოვრები უფროსი ადამიანები მოსკოვში 30 მანეთად გადაფრენა-გადმოფრენით იწონებენ თავს, მომავალი თაობა უკვე ევროპაში 30 ევროდ სიარულით დაიწყებს ტრაბახს!

2017 წელი გარდა პოლიტიკური სკანდალებისა, პოლიტიკური არჩევნების წელიწადიც იყო - ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, სადაც სახელისუფლებო პოლიტიკურმა ძალამ „ქართულმა ოცნებამ“ დამაჯერებლად გაიმარჯვა. მართალია ამომრჩეველთა დაბალი აქტივობის პირობებში, მაგრამ მაინც დამაჯერებლად. ამავე დროს დემოკრატიის „კლასიც“ აჩვენეს - რიგ ქალაქებში, მაგალითად ქუთაისში, მერის არჩევისათვის მეორე ტურის ჩატარება გახდა საჭირო. პრინციპში, ამ კონტექსტით დიდი განსხვავება 2017 წელს არ ყოფილა - ხელისუფლება დემოკრატიული არჩევნების ჩატარებით იწონებდა თავს, ოპოზიცია კი ხელისუფლებას დემოკრატიის დასამარებაში ადანაშაულებდა.



რაც შეეხება სკანდალურ მოვლენებს, ალბათ ე.წ. ციანიდის საქმე განსაკუთრებით დასამახსოვრებელი და აღსანიშნავი იყო. რა თქმა უნდა, დეტალებს აღარ შევეხები, იმდენად დაწვრილებით იყო ყველა დეტალი განხილული საზოგადოებაში, თუმცა ამ ფაქტმა აშკარად აჩვენა, რომ საქართველოს საპატრიარქოში მწვავე დაპირისპირებაა და ეს დაპირისპირება ამ წელიწადში არ დასრულებულა და როგორც ჩანს, ეს უკვე მომავალი 2018 წლის თავის ტკივილიც იქნება.

2017 წელი ხანძრების წელიწადიც აღმოჩნდა - დაწყებული ბორჯომის ტყეში გაჩენილი ხანძრით, დამთავრებული ბათუმში, სასტუმროში გაჩენილი ხანძრით, რომელსაც ათზე მეტი ადამიანი შეეწირა და რომელმაც ისევ გვაჩვენა, რომ სახანძრო უსაფრთხოების სფეროში ვერაფერი ვისწავლეთ.

2017 წლის ბოლოს კი სამთავრობო ცვლილებებით შევხვდით - გაუქმდა რამდენიმე სამინისტრო და დაინიშნენ ახალი მინისტრები, ახალმა მთავრობამ კი პარლამენტის ნდობა ისევ მიიღო (მიუხედავად იმისა, რომ მთლად კარგად ვერც ჩვენმა კანონმდებლებმაც გაიგეს რისთვის მოხდა ასეთი სტრუქტურული ცვლილებები და რა დადებით შედეგს მოგვცემს ეს ბოლოს). ყველაფერი ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესი იქნებოდა, რომ არა პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის და „ნაციონალი“ ნიკა მელიას შელაპარაკება, რასაც პრემიერის გინება მოჰყვა. მართალია პრემიერმა ამის გამო შემდეგ ბოდიშიც მოიხადა, თუმცა საზოგადოების ნაწილში ამას მოწონებაც კი მოჰყვა და როგორც ამბობენ, კვირიკაშვილის პროფილს სოციალურ ქსელებში „ლაიქებიც“ კი შეემატა.

რაც შეეხება საერთაშორისო ამბებს, აქ 2017 წლის უდაო ლიდერი აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის გამარჯვებაა, რომელმაც 2017 წელი იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარებით დაასრულა და მომავალ 2018 წელში საკმაოდ დიდი თავისტკივილი გააჩინა ახლო აღმოსავლეთში.

ბედნიერ დამდეგ ახალ წელს გისურვებთ, ძვირფასო მეგობრებო!

ცოტნე პაატაშვილი

რას გვპირდებიან ასტროლოგები - როგორი იქნება 2018 წელი?

აღმოსავლეთის ფილოსოფიაში თითოეული წელი გარკვეული ცხოველის თანხლებით მიმდინარეობს. ლეგენდის თანახმად, მათ პატივი ერგოთ, გამხდარიყვნენ 12-წლიანი ციკლის ერთ-ერთი წლის მფარველები.

ჩინური კალენდრით, 2018 წელს ყვითელი ძაღლის წელი დადგება. ძაღლი ყოველთვის იყო ერთგული მეგობარი, კარგი თანამოსაუბრე და მკაცრი მოსამართლე. მომავალი წელიც ამ მფარველი ცხოველის ნიშან-თვისებების შესატყვისად ჩაივლის, ამიტომ ყველა ნიშნისთვის გარანტირებული იქნება წარმატება და იღბალი.

ასტროლოგიური პროგნოზის თანახმად, დადებითი ტენდენციები შეეხება არა მხოლოდ კარიერულ ზრდას, არამედ პირად ცხოვრებასაც. მხოლოდ საჭიროა, მიზნისკენ აიღოთ გეზი და შედეგიც საოცარი იქნება.

როგორც ასტროლოგები ვარაუდობენ, 2018 წელი, ყვითელი ძაღლის წელიწადი - საკმაოდ მშვიდი, ჰარმონიული და ნაყოფიერი იქნება. ამ წელს ადამიანები გაცილებით უფრო ტოლერანტულები, გამგებიანები და დიპლომატიურები გახდებიან ერთმანეთის მიმართ. ზოგადად მსოფლიოში წამოიწევს წინ ჰუმაურობის, საყოველთაო ძმობის და კაცთმოყვარეობის ტენდენცია. ყვითელი ძაღლის წელი ბევრი ადამიანის ცხოვრებაში ე.წ. "ღუზის ჩაშვების" და ნანატრი სიმშვიდის მოპოვების წელიწადი იქნება. ძალიან ბევრ ჩვენგანს ზუსტად ამ წელს მიეცემა შანსი შეიძინოს ნანატრი სახლი, დაოჯახდეს და იპოვოს ბოლოს და ბოლოს ის კომფორტი და სულიერი წონასწორობა, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ პოულობდა.

ტოლერანტულობის კოეფიციენტი გაიზრდება სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობისა და ეთნიკური წარმოშობის ადამიანებს შორის კომუნიკაციაში. პოლიტიკურ სარბიელზე კი რეალურად გაჩნდება შანსები, რომ აქამდე არსებული მწვავე კონფლიქტები გაცილებით უფრო მშვიდობიანი და დიპლომატიური გზებით მოგვარდეს.

არაჩვეულებრივი წელია მოგზაურობისთვის და შემეცნების კუთხით. არ არის გამორიცხული ამ წელს მსოფლიომ იხილოს ახალი ტექნოლოგიები და პრეპარატები, რომელიც დიდ როლს ითამაშებს სამომავლოდ ჯანდაცვის სისტემაში.

უმართლებთ ადამიანებს ვისი ხასიათის თვისებებიც გამოირჩევა: სიმშვიდით-,მეგობრულობით, მოთმინებით,ერთგულებით, პრაქტიკულობით,შრომისმოყვარეობით, ლოგიკური აზროვნებით, მიზანდასახულობით.

2018 წელი ოპტიმიზმისა და პოზიტიური განწყობის წელია.

ძაღლის წელს დაბადებულებისთვის 2018 წელი წარმატებული იქნება ნებისმიერ წამოწყებაში, ეხება ეს იმიჯისა თუ პროფესიის შეცვლას, ქორწინებას; ასე რომ, იმოქმედეთ!

ვირთხებს ბევრი მუშაობა მოუწევთ. ეს წელი რთული იქნება მათთვის, სამაგიეროდ, მუშაობის შედეგებით კმაყოფილი დარჩებიან. მთავარია, არ დაზოგონ დრო და არ იზარმაცონ!

ხარისთვის 2018 წელი სიურპრიზს ამზადებს — ეს ან ფულადი მოგება ან კარიერული წინსვლა იქნება. მათთვის პირად საკითხებში ბედნიერი თვე ნოემბერი იქნება.

ვეფხვებს 2018 წელი საკუთარი პოტენციალის რეალიზებასა და ნიჭის წარმოჩენაში შეუწყობს ხელს; ამაში კი მათ ძაღლი დაეხმარება — არ შეუშინდეთ სიახლეებს, თამამად იარეთ წინ, მიზნისკენ!

კურდღელი (კატა) მთელი წელი ნებისმიერ საქმეში გამარჯვებებისკენ, პირველობისკენ სწრაფვას შეალევს. მთავარია, ზედმეტი არ მოუვიდეს და მაშინ მათი შრომა ნამდვილად დაფასდება!

დრაკონები ძაღლის წელიწადში ახალ მეგობრებს შეიძენენ. ამ ნიშნით დაბადებულ ადამიანებს ყურს დაუგდებენ და რჩევებს ჰკითხავენ. ისინი სიმშვიდისა და სულგრძელობის ტალღაში ჩაიძირებიან!

გველებისთვის ეს წელი თვითგანვითარების კუთხით უჩვეულო იქნება. ისინი შეძლებენ საკუთარი პიროვნების ახალი საზღვრების გახსნას, ნეგატიური ასპექტების დამუშავებას, რომლებიც მათ განვითარებას უშლის ხელს და უფრო ბრძენი და მომთმენი გახდებიან.

ცხენებს მშვიდი და სასიამოვნო წელი ელოდებათ. ერთადერთი პრობლემა მათთვის ჯანმრთელობა იქნება. რასთან ხუმრობაც ნამდვილად არ ღირს. ძაღლი ურჩევს, არ გადადონ მკურნალობა და საერთოდ, ეს საკითხი პირველ ადგილზე დააყენონ.

თხებისთვის (ცხვარი) ეს ეტაპი წარმატებით ჩაივლის. ისინი ამ წელში თავდაჯერებულნი იქნებიან, საკუთარ ემოციებს მთლიანად დაიქვემდებარებენ. მათ წლის შუა პერიოდში რამდენიმე უჩვეულო შეხვედრა ელოდებათ.

მაიმუნებს ერთ ადგილზე რა გააჩერებთ; მათ სულ ცვლილებები და თავგადასავლები სწყურიათ. მაგრამ ფორტუნამ მათ საკუთარი გეგმები მოუმზადა. მათი წელი ჩაივლის ლოზუნგით: „სწავლა, სწავლა და კიდევ ერთხელ სწავლა", ასე რომ, შეხვედრები და ახალი ნაცნობობა მეორე პლანზე გადაიწევს.

მამლებს უზენაესმა ძალებმა საკმაოდ მოულოდნელი საჩუქარი მოუმზადეს, რომელიც მათ ცხოვრებას კარდინალურად შეცვლის. ისინი მიიღებენ არნახულ შესაძლებლობებს, ასე რომ, შანსი არ უნდა გაუშვან!

PS news.ge

ISSN 1987-7056

„რეგიონის გაძლიერებით ჩვენ ვაძლიერებთ სახელმწიფოს!“

„რეგიონის გაძლიერებით ჩვენ ვაძლიერებთ სახელმწიფოს, ამიტომაც, მიუხედავად იმ დიდი პასუხისმგებლობისა, რასაც ხალხზე ზრუნვა აკისრებს მერს, მინდა, ჩემი ცოდნა და გამოცდილება მშობლიური ქალაქისა და ჩემი კუთხის მოსახლეობის კეთილდღეობას მოვახმარო. ზესტაფონი ყოველთვის გამოირჩეოდა და განსაკუთრებული ადგილი ეჭირა თავისი ინდუსტრიული მნიშვნელობით. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენი ქალაქისა და კუთხის შესაძლებლობები, უპირველეს ყოვლისა, მკვიდრი მოსახლეობის კეთილდღეობას მოხმარდეს“ – აცხადებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი კახაბერ მახათაძე და იმ პროექტებსა და მიმართულებებზე საუბრობს, რომლის განხორციელებასაც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში აპირებს.



საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, სპორტული მოედნების აღდგენა, სკვერების რეკონსტრუქცია, საბავშვო ბაღების კეთილმოწყობა, ფასადების და სანიაღვრე სისტემების მოწესრიგება - ეს იმ პროექტების არასრული ჩამონათვალია, რომლის განხორციელებაც 2018 წელს იგეგმება ზესტაფონში. როგორც კახაბერ მახათაძე ამბობს: „ზესტაფონში აღმშენებლობის პროცესი იწყება. მე მაქვს იმის ამბიცია, რომ ზესტაფონი იმერეთის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და მოწესრიგებული ქალაქი იყოს. 2018 წლიდან ჩვენ აღმაშენებლის მოედანზე ახალი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას დავიწყებთ. ცენტრალური მოედნის რეკონსტრუქციის პროექტი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სახელმწიფო თეატრის მიმდებარე ტერიტორია გამორჩეული სივრცე გახდეს, როგორც ჩვენი თანაქალაქელებისთვის, ასევე - ჩვენი სტუმრებისთვის. მომდევნო წლების განმავლობაში ქალაქის განვითარებისთვის სხვა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებასაც ვგეგმავთ.“

ზესტაფონის მუნიციპალიეტის 2018 – 2021 წლების განვითარების გეგმა მასშტაბური ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტებით არის წარმოდგენილი. საქართველოს ხელისუფლება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2018-2021 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად 19, 7 მლნ ლარს გამოყოფს. მათ შორის : 2018 წელს – 4,5 მლნ, 2019 წელს – 4,8 მლნ, 2020 წელს – 5 მლნ და 2021 წელს 5,3 მლნ ლარს.

მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ჩამონათვალი კი ასეთია:

- ასლანიკაშვილის სანაპიროზე, მოსწავლე ახალგაზრდობის მიმდებარედ, მოძრაობის მოსაწესრიგებლად გამყოფი ბილიკების, წრისა და გაზონის მოწყობა;
- ჭანტურიას ქუჩაზე, ფაბრიკის მიმდებარედ არსებული წრის კეთილმოწყობა;
- ზაქარიაძის ქუჩაზე, ახალი ხიდიდან ჩხეიძის ქუჩის ასახვევამდე ტროტუარებისა და ბორდიურების რეაბილიტაცია და ღობეების მოწყობა;
- სტაროსელსკის ქუჩაზე, ავტოსადგურის მიმდებარედ ორი სკვერისა და წრის მოწყობა;
- გიორგი ლეონიძის ქუჩის რეაბილიტაცია;
- სააკაძის ქუჩის რეაბილიტაცია.

თვის დაიჯესტი

საახალწლო სამზადისი ზესტაფონში

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მთავარი ნაძვის ხე 23 დეკემბერს საზეიმოდ აინთო. ახალი წლის სიმბოლო ზესტაფონის ქალაქის მერმა ბავშვებთან ერთად აანთო და მოსახლეობას დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა.

სადღესასწაულო აქსესუარები და განათებები ქალაქის ყველა ცენტრალურ უბნებზე დამონტაჟდა. 31 დეკემბერს, ცენტრალურ მოედანზე, მთავარ ნაძვის ხესთან 22 სთ – დან საახალწლო შოუ პროგრამა მოეწყობა. კონცერტს ჯგუფი "სტიქია" გახსნის. შემდეგ კი სცენა, პოპულარულ ქართველ მომღერლებს დაეთმობა.

საახალწლო საკონცერტო პროგრამას გიორგი შანიძე წაიყვანს. კონცერტის დასრულების შემდეგ კი იქნება ფეიერვერკი.

საზანოში საჭიდაო დარბაზის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს

საზანოში საჭიდაო დარბაზის მშენებლობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. ახლახანს მშენებლობას ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი კახაბერ მახათაძე ესტუმრა და პროცესს ადგილზე გაეცნო. საჭიდაო კომპლექსის მშენებლობა მუნიციპალიტეტის დაკვეთით რამდენიმე თვის წინ დაიწყო სოფელში. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 157 207 ლარია. ახალი დარბაზის მშენებლობის დასრულების შემდეგ, აღსაზრდელებს შესაძლებლობა ექნებათ, როგორც თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, ასევე ძიუდოში ივარჯიშონ. როგორც კახაბერ მახათაძემ აღნიშნა, საჭიდაო დარბაზის მშენებლობა დიდ როლს ითამაშებს ახალგაზრდებში ცხოვრების ჯ ანსაღი წესის დამკვიდრებაში. მშენებლობის პროცესს მუნიციპალიტეტის მერი სოფლის მაჟორიტარ დეპუტატთან, ბუბა ნასრაძესთან ერთად გაეცნო. ვალდებულების მიხედვით, მშენებელმა ორგანიზაციამ სამუშაოები იანვრის ბოლოს უნდა დაასრულოს.

ზესტაფონელ ახალგაზრდა ფეხბურთელებს ვიცე-ჩემპიონის ტიტული მერმა მიულოცა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი კახაბერ მახათაძე „ზესტაფონის“ ჩვიდმეტწლამდელთა საფეხბურთო კლუბის ფეხბურთელებს შეხვდა და მათ „ოქროს ლიგის“ გათამაშებაში ვიცე-ჩემპიონის ტიტულის მოპოვება მიულოცა. „საამაყოა ზესტაფონისთვის, რომ გუნდმა ვიცე-ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. დარწმუნებული ვარ, ეს გამარჯვება ღირსეული ბრძოლის გარეშე ვერ შედგებოდა. ვულოცავ ფეხბურთელებს და მთელ გუნდს ამ დიდ წარმატებას. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ გვერდით დავუდგეთ საფეხბურთო კლუბს, რათა კიდევ არაერთი გამარჯვების მომსწრენი გავხდეთ“. შეხვედრისას ს/კ „ზესტაფონის“ მენეჯერმა სერგო ფუტკარაძემ გუნდის სახელით კახაბერ მახათაძეს სამახსოვრო მაისური გადასცა, მუნიციპალიტეტის მერმა კი ფეხბურთელებს წმინდა გიორგის ხატი უსახსოვრა. ფეხბურთელებთან შეხვედრა საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, კობა გოჩალეიშვილის ინიციატივით შედგა. შეხვედრის დასრულების შემდეგ, ყველამ ერთად სამახსოვრო ფოტო გადაიღო.

საახალწლო ნობათი მზრუნველობამოკლებულთათვის

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერმა კახაბერ მახათაძემ, საზანოს მაჟორიტარ დეპუტატთან, ბუბა ნასრაძესთან ერთად, სოფელში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახები მოინახულა და მათ დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა. ამავე დროს, თხუთმეტ მზრუნველობამოკლებულ ოჯახს, სასურსათო კალათიც გადასცეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

ᲛᲪᲘᲠᲔ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ – ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲘᲛᲔᲓᲔᲑᲘ

„მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პროექტი 2“, რომელიც ხორციელდება 2015 წლის ივლისიდან, დამასრულებელ ფაზაში შევიდა. გვინდა შევახსენოთ მკითხველს, რომ აღნიშნული პროექტი ინიცირებული და დაფინანსებულია BP-სა და მისი პარტნიორების მიერ საქართველოს მილსადენების კომპანიაში. პროექტის მიზანია ბაქო-სუფსის მილსადენის გასწვრივ მდებარე სოფლების მოსახლეობისთვის მცირე ბიზნესის წამოწყებისა და განვითარების ხელშეწყობის საშუალებათა შექმნა. პროექტს ახორციელებს ორგანიზაცია კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი CTC.

რამაზ კაპანაძე, ფეხსაცმლის საამქრო, სოფელი ამაღლება.

საერთო ჯამში სამი საგრანტო კონკურსის შედეგად დაფინანსდა 137 დამწყები მიკრო-მეწარმე, რაც ამდენივე სამუშაო ადგილის შექმნას ნიშნავს. დაფინანსებული მიკრო-ბიზნესების საოჯახო შემოსავალი საშუალოდ 30-40%-ით გაიზარდა. ყველა მათგანმა გაიარა ტექნიკური და პროფესიული ტრენინგები, საგადასახადო კონსულტაციები და მიიღო რჩევები ბიზნესის მუშაობის სრულყოფასთან დაკავშირებით. სამოც სამიზნე სოფელში შეიქმნა დამატებითი სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, მისაწვდომი გახდა სერვისები, რომლებიც ადრე არ არსებობდა.

CTC-ის ღრმა რწმენით, სოფლად ბიზნესის განვითარება რეალურ საფუძველს წარმოადგენს მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების ზრდისათვის. ერთის მხრივ, სოფლად ბიზნესის დასაწყებად გაცილებით ნაკლები სასტარტო კაპიტალია საჭირო. მეორეს მხრივ, ამ ფულის მოპოვებაც მოსახლეობას უჭირს, რადგან სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობისთვის საჭიროა გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილება, რასაც ბევრი ვერ ახერხებს. ამიტომ ის, რომ პროექტი მუშაობს ჩვეულებრივ ადამიანებთან და აძლევს მათ დაფინანსების მიღების საშუალებას, ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო საქმეა.

ჩვენთვის საინტერესო იყო გაგაუბრება რამდენიმე დაფინანსებულ მიკრო-მეწარმესთან. ვანის რაიონის სოფ. ამაღლებაში მცხოვრები რამაზ კაპანაძე 2017 წლის მაისში დაფინანსდა. მან გახსნა ფეხსაცმლის საამქრო, სადაც არემონტებს და კერავს ქალისა და მამაკაცის ფეხსაცმელს. მოთხოვნამ მის მომსახურებაზე მოლოდინს გადააჭარბა. ბატონ რამაზს უკვე კარგად იცნობენ როგორც ამაღლებაში, ასევე გარშემო სოფლებში. „ოქროს ხელები აქვს და ძალიან შეღავათიანი ფასები“ - იძახიან კმაყოფილი კლიენტები. თვითონ ბატონი რამაზიც კმაყოფილი და ამაყია თავისი ბიზნესით და იმედი აქვს, რომ ადრე თუ გვიან მოახერხებს მის გაფართოვებას.

„პირველ რიგში დიდ მადლობას მოვახსენებ ორგანიზაცია CTC-ის და პროექტის დონორს BP-ს, მათი მხარდაჭერის გარეშე მე ვერ შევძლებდი ჩემი ბიზნესის დაწყებას. დღესდღეობით მიკრო-ბიზნესის სტატუსი მაქვს“, - ამბობს ის. ეს ძალიან კომფორტული რეჟიმია აღრიცხვისა და დაბეგვრის თვალსაზრისით და ნამდვილად დასაფასებელია მსგავსი ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან. მაგრამ თუ ბიზნესი მოინდომებს გაფართოებას, ვინმეს დასაქმებას, ეს შეღავათები უქმდება. მაგალითად, თუ მცირე ბიზნესის წლიური ბრუნვა 100,000 ლარს გადააჭარბებს, უნდა გადაიხადოს დღგ და საშემოსავლო გადასახადი. ალბათ, მარტო ჩემს აზრს არ გამოვხატავ, თუ ვიტყვი, რომ ეს მნიშვნელოვნად აფერხებს მცირე მეწარმეობის, როგორც კლასის ჩამოყალიბებას. საგადასახადო ტრენინგის შემდეგ ვფიქრობდი ამ თემაზე და, ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ სახელმწიფო გადახედავს აღნიშნულ ზღვარს, რომელიც თხუთმეტი წლის წინ დაწესდა, რადგან მას შემდეგ გაცილებით შეიცვალა ფასების დონე“, - ამბობს ბატონი რამაზი. რა თქმა უნდა, ეს მისი პირადი შეხედულებაა, თუმცა ნამდვილად არ არის ლოგიკას მოკლებული.

ცნობისათვის: ევროკავშირში მიკრო-ბიზნესის სტატუსი აქვს საწარმოს, რომელშიც დასაქმებულია არა უმეტეს ათი ადამიანისა და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება ორ მილიონ ევროს.

მადლიერებას პროექტის და მისი დონორის BP-ს მიმართ გამოხატავს ბევრი სხვა დაფინანსებული მიკრო-მეწარმეც, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ რამდენიმეს მაინც განსაკუთრებით აღვნიშნავდით. მაგალითად, ქ-ნ ნინო ბრეგვაძეს, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვედა ბერეთისადან, რომელმაც სამკერვალო გახსნა და უკვე მოასწრო სახელმწიფო პროგრამის — „აწარმოე საქართველოში“ — საგრანტო კონკურსში გამარჯვება და საქსოვი დაზგის შეძენა, ქალბატონ ლარისა ნებიერიძეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვედა საქარიდან, რომელმაც 2017 წლის მაისში ხილის საშრობი დაარსა და ასევე გაიმარჯვა „აწარმოე საქართველოში“-ის საგრანტო კონკურსში. ახალგაზრდა ქალბატონ მირანდა ბურჯანაძეს, სოფ. ტყლაპივაკიდან, რომელმაც ორი წლის წინ ნულიდან დაიწყო და დღეს მისი საფუტკრე მეურნეობა 30 ოჯახს მოიცავს, ბატონ გრიგოლ დვალს, რომელიც დახვეწილ ავეჯის გარნიტურებს ამზადებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. ცხენთაროში. ყველა ისინი მადლობას უხდიან პროექტს საკუთარი ბიზნესის დაწყების შესაძლებლობისთვის, რითაც მათ არამარტო შემოსავალი გაზარდეს, არამედ სტიმული მიეცათ იფიქრონ შემდგომ განვითარებაზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დაფინანსებული მიკრო-მეწარმეები ხაზს უსვამდნენ, რომ მათთვის სწავლება თითქმის ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც მიღებული დაფინანსება.

პროექტის ფარგლებში დაინერგა ასევე საინტერესო სიახლე „მენტორობა“ - როდესაც შედარებით გამოცდილი და წარმატებული მიკრო-მეწარმეები, ანუ მენტორები, გამოცდილებას უზიარებენ და რჩევებს აძლევენ თავიანთ ახალბედა კოლეგებს.

მენტორების შერჩევა მოხდა კონკურსის საფუძველზე - შერჩეული იქნა ყველაზე უნარიანი და მოტივირებული ადამიანები პროექტის წინა და ამჟამინდელი ფაზებიდან, ვისაც არა მარტო კარგი ბიზნეს-შედეგები ჰქონდა, არამედ შესაბამისი პიროვნული თვისებებიც გააჩნდა. მენტორები მონაწილეობდნენ სხვადასხვა ღონისძიებებში, დაწყებული საგრანტო კონკურსებიდან და დამთავრებული პრაქტიკული კონსულტაციებით ადგილებზე. ისინი კარგად იცნობენ ბიზნესის ადგილობრივ კონტექსტს, ბაზრის ძირითად მოთამაშეებს, გავლილი აქვთ განვითარების იგივე ეტაპები და შეუძლიათ ღირებული კონკრეტული რჩევების მიცემა. პროექტის მენეჯმენტის თქმით, მენტორების მიერ მონახულებული ბიზნესების ნახევარზე მეტმა პრაქტიკულად დანერგა მათი რეკომენდაციები და გააუმჯობესა სამეურნეო საქმიანობის შედეგები.

ამასთან დაკავშირებით გავესაუბრეთ პროექტის ერთ-ერთ მენტორს, მამუკა იმნაძეს, სოფ. გვიმბალაურის მკვიდრს, რომელიც 2015 წლის ბოლოს დაფინანსდა და ფუტკრის რძეს აწარმოებს.

„პროექტში მონაწილეობა ჩემთვის მართლაც ფასდაუდებელი გამოცდილება გახდა,“ - ამბობს ის. „ძალიან მიყვარს ჩემი საქმე, ყოველთვის ვცდილობდი ახალი ცოდნის შეძენას და გაზიარებას ახლობლებისთვის, მეზობლებისთვის, მეგობრებისთვის. ძალიან მიხარია, რომ შევძელი ჩემი ცოდნის გადაცემა დამწყები კოლეგებისთვის. მეამაყება, რომ შევძელი კონკრეტული სარგებლის მოტანა. ბედნიერი ვარ, როცა მესმის მადლობის სიტყვები. პირველ რიგში, ვცდილობ ვუბიძგო ადამიანებს თავისი რესურსების ეფექტიანად გამოყენებისკენ. მენტორობის შედეგად მე გავხდი უფრო თავდაჯერებული, ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანი, იმედი მაქვს, რომ ისინი კმაყოფილი არიან ჩემთან ურთიერთობით. ვინ იცის, იქნებ ერთ დღეს მეც პროფესიული კონსულტანტი გავხდე“.

პროექტის გუნდის თქმით, მამუკა არის მცოდნე, უაღრესად კეთილსინდისიერი და ამავე დროს მოკრძალებული ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც ბევრს მუშაობს საკუთარ თავზე, აქტიურად მონაწილეობს მეფუტკრეების პროფესიულ შეხვედრებში და ფესტივალებში. ადამიანები ხედავენ, რომ მას გულწრფელად სურს დახმარება და მუდმივად ეკონტაქტებიან ტელეფონით, რჩევებს ეკითხებიან.

პროექტის ბენეფიციარებთან და წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად, ალბათ, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ მიკრო-მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროექტმა რეალური და საინტერესო შედეგები გამოიღო. ჩვენი აზრით, სოფლის პირობებში მიკრო-ბიზნესები, მიუხედავად გარკვეული რისკებისა, არის ეკონომიკური აქტივობის ყველაზე მართებული ფორმა, რადგან ისინი არიან მოქნილები, აქვთ მინიმალური დანახარჯები, სწრაფად რეაგირებენ კონიუქტურის ცვლილებებზე, სოფლად ნაკლებია კონკურენტების რაოდენობა. მნიშვნელოვანი უპირატესობაა ისიც, რომ ისინი კარგად იცნობენ თავიანთ კლიენტურას.

წარმატებას ვუსურვებთ პროექტს და იმედს გამოვთქვამთ, რომ ის გახდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შენატანი რეგიონული ეკონომიკის განვითარებაში.

ᲜᲐᲬᲐ ᲒᲣᲚᲑᲐᲜᲘ

პროექტის მენტორი მამუკა იმნაძე სოფელ ქვემო ჩიბათში

გიორგი ხუციშვილი: „ყოველთვის იქ ვიქნები, სადაც სამშობლოს დასჭირდება“

„საზოგადოებრივი ფონენდოსკოპის“ სტუმარია დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრის სამედიცინო დირექტორი, ორთოპედ-ტრავმატოლოგი გიორგი ხუციშვილი.

პროლოგის მაგიერ

გიორგი ხუციშვილი დაიბადა თბილისში 1976 წლის 21 მარტს. დაამთავრა თბილისის მე-16 საჯარო სკოლა. უმაღლესი სამედიცინო განათლება თბილისში მიიღო. შემდეგ მუშაობდა საქართველოს სასაზღვრო ჯარების ცენტრალურ ჰოსპიტალში, იგივე საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ჰოსპიტალში. 2007 წლიდან კი მუშაობს ქუთაისში, დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრში.
ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი. მეოთხე თაობის თბილისელი დღემდე არ ივიწყებს თავის ფესვებს, თვლის, რომ მის პიროვნებასთან ყველაზე ახლოს რაჭაა, თუმცა დასძენს, რომ ყოველთვის იქ იქნება ,სადაც სამშობლოს დასჭირდება.

— ბატონო გიორგი, რომ მოუყვეთ ჩვენს მკითხველს, როგორ აღმოჩნდით ქუთაისში?

— ჩემი ქუთაისში გადმოსვლა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მერაბ კაპანაძე, ჩემი მასწავლებელი, მოიწვიეს ამ ქალაქში სამუშაოდ, მასთან ერთად ჩამოვედი მეც. თავიდან ორდინატორი ვიყავი, ვმუშაობდი ორთოპედ-ტრავმატოლოგად, ხოლო ბატონ მერაბ კაპანაძის თბილისში დაბრუნების შემდეგ გავხდი მიმართულების ხელმძღვანელი, შემდეგ კი — კლინიკის სამედიცინო დირექტორი.

მინდა აღვნიშნო, რომ ქუთაისმა და ქუთაისელებმა თბილად მიმიღეს, აქ უკვე 10 წელია ვმოღვაწეობ და როგორც არ უნდა განვითარდეს მომავლში ჩემი ცხოვრება, ყოველთვის მადლიერი ვიქნები ქუთათურების.

— როგორც ვიცით, მრავალმხრივ ნიჭიერი ადამიანი ხართ. ყოფილი მუსიკოსი როგორ აღმოჩნდით მედიცინაში?

— მუსიკა ბავშვობიდან მიყვარს. პროფესიონალ მომღერალთა შორის გავიზარდე. ახლა პროფესიონალი მსმენელი ვარ და ვაფასებ ხარისხიან მუსიკას, საკმაოდ დიდი ხანი ვიყავი ანსამბლ „მართვეს“ წევრი. ამ ანსამბლში გატარებულმა წლებმა და ისეთ პიროვნებებთან ურთიერთობამ, როგორებიც ბატონი ანზორ ერქომაიშვილია და აწ განსვენებული კოტე მშვიდობაძე იყო, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში.

რაც შეეხება მედიცინას, ოჯახში სამედიცინო სფეროს წარმომადგენელი არავინ მყავს, თუმცა დედა გვარად თურმანიძეა. მოგეხსენებათ, თურმანიძეების გვარი ოდითგანვე იყო დაკავშირებული მედიცინასთან, მაგრამ მთავარი წვლილი ამ გადაწყვეტილებში მაინც ბებიას მიუძღვის. მას სურდა, ექიმი გამოვსულიყავი, მეც მაინტერესებდა ეს სფერო და ასე ავასრულე ბებიაჩემის ნება.

— დიდი ოჯახი გყავთ, რა დამოკიდებულება გაქვთ ქართული ტრადიციების მიმართ?

— ტრადიციული ოჯახი გვაქვს, ოთხი თაობა ერთად ვცხოვრობთ უფრო კონკრეტულად ერთი სულისკვეთებით ვცხოვრობთ: ბებია, მამა, დედა, მეუღლე, მეუღლის დედა, ჩემი ოთხი შვილი, ჩემი და მისი სამი შვილით. დიდი ოჯახის ერთად ყოფნით, თანაცხოვრების ტრადიციას ვინარჩუნებთ. ხშირად ვიკრიბებით და ვცდილობთ, პატრიოტული სულისკვეთება გავაძლიეროთ ჩვენს მომავალ თაობაში.

„P.S.ფოტო“ ©

გიორგი ხუციშვილი

რაც შეეხება ეროვნულ ტრადიციებს, როგორც უკვე გითხარით, ანსამბლ „მართვეს“ წევრი ვიყავი, სადაც სიმღერასთან ერთად საქართველოს სულიერ ტრადიციებს გვაზიარეს. ბავშვობიდან ვატარებ ჩოხას და როცა ჩოხით ვიმოსები, წარმოუდგენლად ამაღლებული გრძნობა მეუფლება და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ.

— საქართველოს რომელი კუთხე, ქალაქი არის თქვენს პიროვნებასთან ყველაზე ახლოს?

— რაჭა. როდესაც გადავიღლები, განსატვირთად ყოველთვის რაჭაში ჩავდივარ. საქართველოს ყველა კუთხეში ნამყოფი ვარ, მაგრამ რაჭა ძალიან მშობლიურია. წარმოშობით ხუციშვილების ჩვენი შტო, რაჭიდან ვართ, მაგრამ თბილისში დავიბადე და გავიზარდე. მეოთხე თაობის თბილისელი ვარ, შესაბამისად, თავს თბილისელად ვგრძნობ, სამშობლო, ღირსება და მოვალეობა ჩვენი ოჯახის დევიზიც არის და სადაც ჩემს სამშობლოს დასჭირდება, მეც იქ ვიქნები.

— რა ცხოვრებისეული გამოცდილება მოგცათ მედიცინის სფეროში მოღვაწეობამ?

— ექიმობა არის ყველაზე ჰუმანური პროფესია.მიუხედავად იმისა, რომ ექიმის პროფესია ძალიან დიდ შრომას, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დატვირთვას მოითხოვს წარმოუდგენლად დიდია უკუგება, გამოჯანმრთელებული და ბედნიერი პაციენტის მადლიერი თვალები დიდი სტიმულია ექიმისთვის, ამ სფერომ უამრავი ადამიანი შემძინა და ბევრ კარგ პიროვნებასთან დამამეგობრა. ვგულისხმობ კოლეგებს და იმ პაციენტებს, რომლებთან ურთიერთობას ოპერაციების შემდეგაც ვინარჩუნებ. აქვე უნდა ავღნიშნო, რომ გამიმართლა, რადგან საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო კლინიკაში შესანიშნავ ადამიანებთან ერთად ვმუშაობ.

— დაგვისახელეთ თქვენი საყვარელი მუსიკა, ფილმი და მწერალი.

— მუსიკალური მიმართულებიდან ფოლკლორი და კლასიკური მუსიკა მიყვარს. ჩემი შვილებიც ეზიარებიან ამ სიკეთეს. როგორც გურამ დოჩანაშვილი ამბობს („კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“), ფილმი წიგნის დაფინანსებული კონკურენტია, შესაბამისად, პრიორიტეტს წიგნს ვანიჭებ. მწერლებიდან — ილია ჭავჭავაძეს, კონსტანტინე გამსახურდიას და ნოდარ დუმბაძეს გამოვყოფ.

ინტერვიუს დასასრულს აღმოვაჩინე, რომ არასტანდარტული პორტრეტი გამოვიდა. ერთის მხრივ, პროფესიონალი ექიმის, რომელიც თავის თავზე აღმატებით ხარისხში საუბარს გაურბის, მეორე მხრივ კი — საინტერესო ადამიანის, რომელიც ისეთივე მართალი და წრფელია, როგორც დუმბაძის პერსონაჟი, ბებია რომ „დოხტორობას“ აძალებდა.

ლიკა დევდარიანი

პედაგოგთა პროფკავშირი მასწავლებელთა საბაზო ხელფასის ეტაპობრივი ზრდის სამთავრობო პროგრამის შემუშავებას ითხოვს

„თუ მენტორების და წამყვანი მასწავლებლების მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნავს სახელმწიფო ხელფასის ზრდით, რატომ არ უნდა იზრუნოს უფროსი და პრაქტიკოსი მასწავლებლების მოტივაციის ამაღლებაზე? რა თქმა უნდა, არ მოგვწონს ეს გადაწყვეტილება“, – ასე ეხმაურება საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი მაია კობახიძე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინიციატივას, მენტორი და წამყვანი მასწავლებლებისთვის დანამატის ზრდასთან დაკავშირებით.

კობახიძე საქართველოს პარლამენტს და განათლების და მეცნიერების კომიტეტს პედაგოგთა ხელფასების საკითხის მიმართ გულგრილობაში ადანაშაულებს და ამბობს, რომ პარლამენტში არ გამოუხატავთ დაინტერესება პედაგოგის ხელფასების ზრდის შესახებ. მისი თქმით, პედაგოგი ისევ დარჩა თავის მძიმეს სოციალურ – ეკონომიურ მდგომარეობასთან პირისპირ.

„საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 2018 წლის ბიუჯეტი. არ გვქონდა დიდი მოლოდინი, რომ 2018 წელს გაიზრდებოდა პედაგოგთა ხელფასები, მაგრამ მაინც მოუთმენლად ველოდით ბიუჯეტის დამტკიცებას. ვფიქრობდით, რომ პარლამენტში მწვავედ დადგებოდა პედაგოგთა ხელფასების საკითხი, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

ისევე როგორც 2017 წელს, არც 2018 წელს გეგმავს სახელმწიფო პედაგოგთა ხელფასების ზრდას. ეს ფაქტია! ჩვენთვის ასევე სამწუხაროა ის ფაქტი, პარლამენტის განათლების კომიტეტი და საპარლამენტო უმრავლესობა სრულ ინდიფერენტულობას იჩენს პედაგოგთა ხელფასების მიმართ, რომ არაფერი ვთქვათ ფინანსთა სამინისტროზე“, – ამბობს პედაგოგთა პროფკავშირების პრეზიდენტი.

მაია კობახიძის თქმით, პედაგოგი თუ დააყენებს ხელფასების ზრდის საკითხს, მაშინვე იწყება სხვადასხვა ტიპის დემაგოგია, რომ წარმატებული პედაგოგის ხელფასი 1000 ლარს სცილდება, ან მასწავლებლის ხელფასის ასამაღლებლად იგეგმება მხოლოდ სტატუსის შესაბამისი დანამატი.

როგორც პედაგოგთა პროფკავშირების პრეზიდენტი აღნიშნავს, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე უამრავი განცხადება კეთდება. თუმცა მისი თქმით, თუ პედაგოგს არ ექნება ადეკვატური შრომის ანაზღაურება, არც სწავლების ხარისხი გაუმჯობესდება რადიკალურად და ვერც ახალი ძლიერი კადრები შემოვა ზოგად საგანმანათლებლო სისტემაში.

„ყველა დამეთანხმება იმაში, რომ მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტი, რომელიც ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს, სკოლაში მუშაობას ამჟამად არსებულ ხელფასზე ნამდვილად არ დაიწყებს“, – ამბობს კობახიძე.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი განათლების **მინისტრის მიერ დაანონსებულ** მენტორ და წამყვან მასწავლებელთა დანამატების ზრდას დისკრიმინაციულად აფასებს და ამბობს, რომ სტატუსების მიხედვით ხელფასის ზრდის საბაზო ხელფასის ზრდასთან მიბმის წინააღმდეგია.

„თუ მენტორების და წამყვანი მასწავლებლების მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნავს სახელმწიფო ხელფასის ზრდით, რატომ არ უნდა იზრუნოს უფროსი და პრაქტიკოსი მასწავლებლების მოტივაციის ამაღლებაზე? კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ პედაგოგთა საშუალო ხელფასების ზრდას მიებას სტატუსების შესაბამისად ხელფასების ზრდა.

პედაგოგთა თუნდაც რაღაც ნაწილი იღებდეს კატეგორიების მიხედვით დანამატს, ეს პედაგოგთა ეკონომიკურ მდგომარეობას ვერ გამოასწორებს. სტატუსის შესაბამისი დანამატის ზრდა უნდა განხორციელდეს საბაზო ხელფასის ზრდის პარალელურად“, – ამბობს პროფკავშირების პრეზიდენტი.

მაია კობახიძემ აღნიშნა, რომ ხელფასების ზრდის თავიანთი პოზიცია მინისტრს პირადად გააცნო.

„ახალ მინისტრს შევხვდი, დაახლოებით 2 კვირის წინ და დეტალურად ვისაუბრეთ პედაგოგთა ხელფასების ზრდის შესახებ, ჩვენი მოსაზრება ბატონი მიხეილისთვის მისაღები აღმოჩნდა.

მაია კობახიძე

ჩვენ 2014 წლიდან ვთავაზობთ ხელისუფლებას, შემუშავდეს პედაგოგთა საბაზო ხელფასის ეტაპობრივი ზრდის სამთავრობო პროგრამა. 2015-2016 წელს ხელფასების ზრდა 2 ეტაპად განხორციელდა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მასწავლებლების ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუმჯობესდა. შესაბამისად, ჩვენ ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოგვიხსნია.

2014 წლიდან ჩვენი კატეგორიული მოთხოვნა არის მასწავლებელთა საბაზო ხელფასის 3 – 5 წლიანი სამთავრობო პროგრამის შემუშავება. ჩვენი ადრესატი არის საქართველოს მთავრობა, ფინანსთა სამინისტრო, საკანონმდებლო ორგანო. მე პარლამენტში ვერ დავინახე პედაგოგთა პრობლემებზე დაინტერესება.

ჩვენ ვითვალისწინებთ ბიუჯეტის მდგომარეობას. ერთადერთი გამოსავალია, 3-5–წლიანი პროგრამა შემუშავდეს, რომლის მიხედვითაც ყოველ წელს ეტაპობრივად გაიზრდება პედაგოგთა საბაზო ხელფასი და მხოლოს ასე შევძლებთ მასწავლებლის საშუალო ხელფასი გაუთანაბრდეს, თუ საჯარო სექტორში დასაქმებულების საშუალო ხელფასს არა, ქვეყანაში არსებულ საშუალო ხელფასს მაინც“, – აღნიშნა მაია კობახიძემ.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი აცხადებს, რომ 2018 წელსაც მასწავლებელი უნდა იყოს იმის მოლოდინში, როდის მიიღებს ხელისუფლება საბაზო ხელფასის ზრდის გადაწყვეტილებას. ამიტომ მისი თქმით, ალბათ, დადგა დრო, ყველამ პროტესტის სხვადასხვა ფორმების გამოყენებით დაიწყოს ბრძოლა პედაგოგთა ინტერესების დასაცავად. როგორც მაია კობახიძემ აღნიშნა, ამისთვის ყველანაირი პროტესტის ფორმა წარმოუდგენია.

წყარო: edu.arls.ge

P.S.
მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე ● **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი ● **მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის №37ᵇ ● (0 431) 24-45-46. ● psnews27@gmail.com ● www.psnews.ge
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
— ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე.
გამომცემელი — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401 გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) პ - 658 P - 86**